პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

„მეგაღეობა“ დანართი № 7

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

მეგაღეობა

მოდულის სახელწოდება: **ქართული ენა A2**

მოდულის სტატუსი: **ზოგადი**

ბათუმი, 2020

1.ზოგადი ინფორმაცია:

2. სტანდარტული ჩანაწერები:

სარეგისტრაციო ნომერი:	0110001
სახელწოდება:	ქართული ენა A2
გამოქვეყნების თარიღი:	07.03.2016, 02.11.17
მოცულობა კრედიტებში:	15
მოდულზე დაშვების წინაპირობა:	საბაზო განათლება
მოდულის აღწერა:	სწავლების დამთავრების შემდეგ პირს შეუძლია: • ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე (A2); • სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა; • სახელწმიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა; • სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.

სწავლის შედეგები	შესრულების კრიტერიუმები	კომპეტენციის პარამეტრების ფარგლები	მტკიცებულებები
1. ზეპირი კომუნიკაცია სახელმწიფო ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე	1. სწორად იგებს სახელმწიფო ენაზე საუბარს - აუდიალურ ინფორმაციას; 2. იგებს მოსმენილი ტექსტის შინაარსს და გადმოსცემს მის მნიშვნელოვან დეტალებს; 3. აკავშირებს სხვადასხვა სახის ინფორმაციას და გამოაქვს სათანადო დასკვნები; 4. მონაწილეობს დიალოგებსა და დისკუსიებში; 5. მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს კითხვა-პასუხისას; 6. გამოხატავს ემოციებს, შეხედულებებს, განწყობილებას, საკუთარ დამოკიდებულებას, შეფასებას ადამიანების, საგნების, ფაქტებისა თუ მოვლენებისადმი; 7. იყენებს სასაუბრო თემის შესაბამის ნასწავლ ლექსიკას; 8. იყენებს ენობრივ სტრუქტურებს ლოგიკური კავშირების გამოსახატად; 9. გასაგებად საუბრობს ყოველდღიურ, ნაცნობ საკთხებზე საკომუნიკაციო სიტუაციებში.	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	შესრულების მტკიცებულება (1- 9)
2. სახელმწიფო ენაზე მიღებული ინფორმაციის წაკითხვა-განხილვა	1. გარკვევით და გამართულად კითხულობს ნაცნობ ტექსტს; 2. სწორად იგებს ყოფითი ხასიათის ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 3. აკავშირებს ტექსტში მოცემულ ინფორმაციას პირად გამოცდილებასთან; 4. სწორად აჯამებს მიღებულ ინფორმაციას.	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	შესრულების მტკიცებულება (1-4)
3. სახელმწიფო ენაზე წერილობითი კომუნიკაციის წარმართვა	1. დამოუკიდებლად ადგენს მცირე ზომის ინფორმაციულ ტექსტს ელემენტარული წესების დაცვით; 2. ტექსტის შედგენისას იყენებს აზრობრივი გადაბმის მარტივ ენობრივ-გრამატიკულ საშუალებებს; 3. სწორად იყენებს ნასწავლ სინტაქსურ მიმართებებს სიტყვებს შორის;	**წესები:** მართლწერა, პუნქტუაცია, გრამა-ტიკა, სტილის და პარაგრაფირების დაცვა	ზეპირი ან/და წერილობითი მტკიცებულება (1-5)

	4.საკომუნიკაციო სიტუაციის/მიზნის შესაბამისად შეარჩევს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ფორმულებს, თავაზიან და ფამილარულ ფორმებს; 5.სწორად განსაზღვრავს წერილობითი ტექსტის სტრუქტურას.		
4. სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავში-რებულ საკითხებზე კომუნიკაციისას.	1. სწორად ამოიცნობს პროფესიასთან/ საქმიანობასთან დაკავშირებულ ტერმინების მნიშვნელობას; 2. სწორად იგებს აუდიალურ ინფორმაციას პროფესიასთან/საქმიანო-ბასთან დაკავშირებულ მარტივ საკითხებზე; 3. სწორად აღიქვამს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ ინფორმაციულ ტექსტებსა და კორესპონდენციას; 4. სწორად იყენებს ნასწავლ ენობრივ კონსტრუქციებს, კლიშეებს, ტერმინებს პროფესიასთან/საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საუბრისას; 5. წინასწარი მომზადების საფუძველზე გადმოცემს ინფორმაციას პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ თემებზე ტექსტის შინაარსის თარგმნის, თარჯიმნობის, რეზიუმირებისა თუ ინტერპრეტირების გზით.	სრულადაა ასახული შესრულების კრიტერიუმებში	შესრულების მტკიცებულება (1-5)

3. დამხმარე ჩანაწერები:

3.1. საათების განაწილების სქემა:

სწავლის შედეგები	საათების განაწილება სწავლის შედეგების მიხედვით				
	საკონტაქტო სასწავლო დატვირთვა		დამოუკიდებელი სამუშაოები	შეფასება	სულ
	თეორიული მეცადინეობა	პრაქტიკული მეცადინეობა			
1	25	64	16	2	107
2	23	50	20	2	95
3	22	47	28	6	103
4	16	36	16	2	70
სულ:	86	197	80	12	**375**

3.2. მოდულის განხორციელების მიდგომები:

სწავლების პროცესში გამოიყენება პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომა. მოდულის ფარგლებში დასახული შედეგების მისაღწევად სახელმწიფო ენის სწავლება წარიმართება შემდეგი მიმართულებით: ა) მოსმენა, ბ) კითხვა, გ) წერა, დ) ლაპარაკი, ე) სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენება.

მოსმენის ეტაპზე გამოიყენება კონკრეტული ენობრივი კომპეტენციის შესაბამისი საშუალო მოცულობისა და სირთულის ავთენტური ტექსტები. შესაფასებელ პირს მოეთხოვება ტექსტის გაგება, მოსმენილი ინფორმაციის გაანალიზება და შეფასება.

კითხვის ეტაპზე მნიშვნელოვანია სხვადასხვა ტიპისა და შინაარსის ნახევრად ავთენტური, ან ავთენტურს მიმსგავსებული ტექსტების გაგება.

ლაპარაკის უნარის გასავითარებლად, ენობრივი მარაგის უფრო თავისუფლად გამოყენების წასახალისებლად, როგორც სიმულაციური, ისე რეალური კომუნიკაციის დროს, მიზანშეწონილია საკომუნიკაციო სიტუაციების გამრავალფეროვნება.

წერის საკომუნიკაციო უნარ-ჩვევათა განსავითარებლად გამოიყენება პრაქტიკული სავარჯიშოების, აღწერითი თხრობითი ტექსტები (100-150), შესაფასებელ პირს მოეთხოვება პირადი კორესპონდენციის წარმოება და სხვა.

სახელმწიფო ენის პრაქტიკული გამოყენების ამოცანაა ყოფით და პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ტექსტების შინაარსის გადმოცემა, საკუთარი პოზიციის გამოხატვა, დიალოგებსა და დისკუსიებში მონაწილეობა.

სახელმწიფო ენის გრამატიკის სწავლება საკომუნიკაციო მიზნებს ემსახურება, ამიტომ აუცილებელია მისი სწავლება კონტექსტიდან მოუწყვეტლად. შემსწავლელს ექმნება შესაძლებლობა, დააკვირდეს, ამოიცნოს, გაიაზროს და კონტექსტში გამოიყენოს გრამატიკული კონსტრუქციები. სწავლებისას გამოიყენება ასათვისებელ ენობრივ მასალაზე აგებული დიდაქტიზებული ტექსტები, გრამატიკული მასალა, მრავალფეროვანი აქტივობები და სავარჯიშოები.

მოდულის გეგმით გათვალისწინებულია ინტერაქტიული მეცადინეობები: როლური თამაშები, პრაქტიკული დავალებები წყვილებსა და ჯგუფებში, დისკუსიებისა და პრეზენტაციების ორგანიზება; ინტერაქტიული მეცადინეობები უზრუნველყოფილია სათანადო რესურსით (სასწავლო გარემო (აუდიტორია), სასწავლო ინვენტარი და სხ.). აუდიტორია აღჭურვილია ტექნიკური საშუალებებით (კომპიუტერი, პროექტორი, აუდიო-ვიდეო საშუალებები), აგრეთვე, საკანცელარიო საქონლით (ფლიპჩარტის დაფა/ქაღალდი; დაფის ფერადი მარკერები; საშლელი და სხვა).

სხვადასხვა ტიპის დავალების მომზადებისას გამოიყენება ლექსიკონები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, ინტერნეტ-წყაროები, აუდიო/ვიდეო და ინფორმაცია.

შესასრულებელი სამუშაოების უკეთ გააზრებისა და დროის ეფექტიანად მართვისათვის, ენის შემსწავლელებს მეცადინეობის დაწყებამდე მიეწოდება საჭირო საინფორმაციო რესურსი (სასწავლო მასალა, განსახილველი თემები, შესასრულებელი სამუშაოების/დავალებების ინსტრუქციები და სხვა).

შესაფასებელი პირის მიღწევების, სწავლის შედეგების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებისათვის მიღებულია შეფასების ინსტრუმენტების კომბინირებული გამოყენება (ასე მაგალითად, წერილობითი გამოკითხვისათვის: ღია და დახურული ტესტის, გამოტოვებული სიტყვების ჩასმის, ბადისებრი შეკითხვების და სხვ.; ზეპირი ფორმით გამოკითხვისას გამოყენებულია პირადი ინტერვიუ, ღია შეკითხვა, წაკითხული ან/და მოსმენილი ინფორმაციის შინაარსის ზეპირად გადმოცემა და სხვა მეთოდი).

3.3. სასწავლო თემატიკა და სწავლების მეთოდები:

სწავლის შედეგი	**სწავლის შედეგის შესაბამისი თემატიკა**	**სწავლების მეთოდები**
1	• სოციალური ურთიერთობები • მისალმება, თავაზიანი ფორმები, ინფორმაციის გაცვლა • პირადი ინფორმაცია • საჭმელ-სასმელი • ოჯახი და ნათესავები • რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები • ადამიანის გარეგნობა • ყოველდღიური საჭიროების ნივთები • ქვეყნები და წარმომავლობა	• ლექცია და დემონსტრირება • საკლასო დისკუსია • კითხვა-პასუხი • შემთხვევის შესწავლა • როლური და სიტუაციური თამაშები • პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება • დამოუკიდებელი დავალება • აუდიო-ვიდეო მასალის განხილვა • თანამშრომლობითი სწავლება

	• დროის განსაზღვრა • დღის რეჟიმი • დროში და სივრცეში ორიენტაცია • მგზავრობა-მოგზაურობა • თავისუფალი დრო • ყიდვა-გაყიდვა • მიმოწერის წარმართვა • საქმიანობა და პროფესიები, სხვადასხვა პროფესიასთან დაკავშირებული ლექსიკა • სახლი, ბინა, ავეჯი, საოჯახო ნივთები • გარემო • დასახლებული პუნქტები • საბანკო მომსახურება • საქმიანი ვიზიტები, დასვენება, არდადეგები/შვებულება, დღესასწაულები და ზეიმები • გემოვნება/შეფასება • საჭიროება/სურვილი/მოთხოვნილება • გრძნობები/ემოციურირეაქციები/შეგრძნებები • დახმარება ახალ გარემოში • ინსტრუქციები, შეტყობინებები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გაკეთებული განცხადებები • ტელე/რადიოგადაცემები: საინფორმაციო გადაცემა, რეპორტაჟი ტურისტული მოგზაურობის შესახებ, ინტერვიუ • სიმულირებული სატელეფონო საუბრები • ინტერაქცია საკლასო ოთახში	• წყვილებში და ჯგუფურად მუშაობა • დისკუსია.
2	• სასწავლო სახელმძღვანელოდან ტექსტების წაკითხვა, გააზრება-გაანალიზება • სხვადასხვა წყაროდან (პრესა, ინტერნეტი, მოკლე ტექსტური შეტყობინება) მარტივი ტექსტის წაკითხვა და გააზრება	• ლექცია და დემონსტრირება • საკლასო დისკუსია • შემთხვევის შესწავლა

	• დიაგრამების შემცველი ინსტრუქციების ინტერპრეტაცია	• პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება, დამოუკიდებელი დავალება • ტექსტზე მუშაობა კითხვის სხვადასხვა სტრატეგიით
3	სხვადასხვა ხასიათის წერილობითი ტექსტები: • ინტერვიუ • პირადი წერილი • საჯარო განცხადებები • თხზულებები შესწავლილ თემებზე • სიტუაციური დიალოგების აგება • რეზიუმე	• ლექცია და დემონსტრირება • პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება • დამოუკიდებელი დავალება • ლექსიკონზე მუშაობა • ინფორმაციის დამუშავება გრაფიკული ორგანიზატორების გამოყენებით
4	• სააპლიკაციო ფორმები • სიტუაციურ დიალოგებში მონაწილეობა • დისკუსია პროფესიული საქმიანობის შესახებ მარტივ საკითხებზე სხვა პროფესიულ სტუდენტებთან/შემფასებლებთან • მარტივი ფორმატის პრეზენტაცია სამუშაო გამოცდილების შესახებ	• ლექცია და დემონსტრირება • საკლასო დისკუსია • კითხვა-პასუხი • შემთხვევის შესწავლა • როლების განაწილება • პრაქტიკული სავარჯიშო/ დავალება

3.4. სასწავლო გარემოს მოდელი: A1

3.5. ტექნიკური აღჭურვილობა და მასალები და ნედლეული

3.5.1. ტექნიკური აღჭურვილობა:

N	დასახელება	რაოდენობა	შენიშვნა
1.	პროფესიული სტუდენტის საკლასო სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	თითოეულ პროფესიულ სტუდენტზე
2.	მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა/სკამი)	1	სასწავლო ოთახზე
3.	დემონსტრირების ციფრული საშუალებები	1	სასწავლო ოთახზე
4.	დაფა	1	სასწავლო ოთახზე
5.	კომპიუტერი მასწავლებლისათვის	1	სასწავლო ოთახზე
6.	აუდიო აღჭურვილობა	1	სასწავლო ოთახზე

3.5.2. მასალა და მედლეული

N	დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	რაოდენობა	შენიშვნა
1	მარკერი	დაფის	24	ჯგუფზე
2	საშლელი	დაფის	2	ჯგუფზე

3.6. მტკიცებულებების შეგროვების მიდგომები:

პროფესიული სტუდენტის მოდულთან დაკავშირებული ცოდნა ვლინდება როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი სახით სასწავლო აუდიტორიაში.

მტკიცებულებები გროვდება წერილობითი და ზეპირი ფორმით ყოველი სწავლის შედეგის ბოლოს. მოდულის გავლის პროცესში შესაფასებელმა პირმა ყოველი შედეგისათვის უნდა წარმოადგინოს ზეპირი მტკიცებულებები; პრაქტიკული დავალების შესრულების შედეგი - როგორც მტკიცებულება;

პროფესიული სტუდენტი პროგრამის ფარგლებში ასრულებს დავალებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია სწავლის შედეგებთან. დავალებათა და სხვა აქტივობათა მრავალფეროვნება უზრუნველყოფს სათანადო ენობრივ-კომუნიკაციური უნარების განვითარებას.

შესაფასებელ პირს პრაქტიკული დავალებები ეძლევა ენის პრაქტიკული გამოყენების უნარების შეფასების მიზნით. რაც ასევე, გულისხმობს სწავლის პროცესში ურთიერთშეფასების მეთოდების გამოყენებას (როლური თამაშების, პრაქტიკული დავალებების შესრულების, წყვილებში მუშაობის, პრეზენტაციის წარდგენის დროს).

ენის სწავლების პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა აქტივობით, სწავლების სტრატეგიითა თუ სხვა საშუალებებით ინფორმაციის შეგროვებას მოსწავლეთა კომპეტენციის დონეზე და ამ ინფორმაციის გამოყენებას მათი პროგრესის ხელშესაწყობად. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოიყენება შემდეგი დავალებები:

- სხვადასხვა ტიპის გრამატიკული და ლექსიკური სავარჯიშოები (სწორი ფორმის ამოცნობა, ფორმის/კონსტრუქციის ტრანსფორმირებანი ნიმუშის მიხედვით, კონტექსტის მიხედვით სწორი ფორმის წარმოება, შეცდომების ამოცნობა-გასწორება, სინონიმებისა და ანტონიმების დაკავშირება/მოფიქრება, ნაკლულ ტექსტში სიტყვების ჩასმა და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის საკითხავი და მოსასმენი ამოცანის გადაჭრა (შემოხაზე სწორი ვარიანტი; მონიშნე, სწორია თუ არა; იპოვე სწორი თანამიმდევრობა, ამოიცანი უცნობი სიტყვები კონტექსტის მიხედვით, შეაფასე შენი მეწყვილის/საკუთარი ნაწერი, შეაფასე გამომსვლელები და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ზეპირი აქტივობის შესრულება დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (გაინაწილეთ როლები და გაითამაშეთ მეწყვილესთან ერთად, ჩამოართვი ინტერვიუ, წარმოადგინე აუდიტორიის წინაშე შენი ჯგუფის ნამუშევარი, გადმოეცი შენი მოსაზრება და დაასაბუთე, იმსჯელე, დაახასიათე, მოყევი და სხვა);
- სხვადასხვა ტიპის ტექსტის შექმნა დამოუკიდებლად, მეწყვილესთან ერთად თუ ჯგუფურად (მისწერეთ წერილი მეგობარს ზაფხულის არდადეგების შესახებ, მოამზადეთ ჯგუფურად სტატია ცნობილი ადამიანის შესახებ, შეადგინეთ ბიოგრაფიული ცნობარი, დაასრულეთ ამბავი, დაიყავით ჯგუფებად და შეადგინეთ ტურისტული გზამკვლევი; დაწერეთ, თქვენი მოსაზრება ამ საკითხის შესახებ, დაასაბუთეთ და სხვა).

გამოიყენება შემაჯამებელ დავალებათა მრავალი ფორმა. სახელმწიფო ენის მოდულის სწავლების შედეგების განმსაზღვრელი შეფასებისათვის გამოიყენება შემაჯამებელ დავალებათა შემდეგი ტიპები:

- მოსმენილი ან ზეპირი ტექსტის გაგება-გააზრება
- სხვადასხვა სახის ტექსტების შედგენა
- როლურ თამაშებში, სიმულაციურ სიტუაციებში მონაწილეობა
- ინტერაქცია კონკრეტული საკითხის/თემის ირგვლივ

- საუბარი კონკრეტული თემის/საკითხის შესახებ
- ზეპირი პრეზენტაცია.

დავალების თითოეულ ტიპს ახლავს შეფასების ზოგადი რუბრიკა (თუ რეცეფციული (კითხვა, მოსმენა) დავალებაა, მაშინ შეფასების სქემა ახლავს თითოეულ ტესტურ კითხვას);

- ზოგადი რუბრიკა დაზუსტდება კონკრეტული დავალების პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით;
- ქულები გადანაწილდება რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე;
- მითითებულია მოდულის ის შედეგ(ებ)ი და შესრულების კრიტერიუმ(ებ)ი, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

3.7. შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები:

სწავლის შედეგი	**შეფასების მიმართულება**		
	პროცესზე დაკვირვება	**პროდუქტის/ შედეგის შეფასება**	**გამოკითხვა**
1	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		
2	პრაქტიკული დავალება		
3			ტესტი პრაქტიკული დავალება
4	პრაქტიკული დავალება; როლური თამაში.		

3.8. ლიტერატურა ან/და ინფორმაციის წყაროები:

- **„აღმართი“** - ქართული ენის სახელმძღვანელოების სერია უცხოელი შემსწავლელებისათვის. მოიცავს შემდეგ დონეებს: **A1**, **A2**, **A2+**, **B1**, **B2**, **B2+**. სერიის თითოეული კომპლექტი შედგება შემსწავლელის წიგნის, სამუშაო რვეულის, აუდიო-ვიდეომასალის, მათი ტექსტური ვარიანტების, დავალებების პასუხებისა და მასწავლებლის წიგნისგან. ელ. მისამართი: http://geofl.ge/#!/page_saxelmdzvanelo;
- **ქართული ენა უცხოელთათვის,** სახელმძღვანელო; ავტორები: მ. ჩოხარაძე, ლ. თანდილავა, მ. კიკვაძე, ვ. ჩოხარაძე, მ. თავდგირიძე, გ. დუმბაძე, ო.ნაკაშიძე, ა. შარაძე. (ა. მოსწავლის წიგნი; ბ. პრაქტიკული სავარჯიშოების რვეული; გ. ელექტრონული ანბანი და ტექსტები), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015 წ. ბათუმი.
- **ქართული ენის კომინიკაციური ასპექტები**, ნაწილი პირველი, სახელმძღვანელო - მ. კიკვაძე, დ. ახვლედიანი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2013;
- **გაბუნია კ**., ქართული ენის დაჩქარებული კურსი არაქართულენოვანთათვის, თბილისი2015წ.
- **ომიაძე ს., ჯაყელი თ.,** ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. I - II ნაწილი. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- **ომიაძე ს., ჯაყელი თ.,** ქართული ენა. სასწავლო მასალები არაქართულენოვანი მასწავლებლებისათვის. სამუშაო რვეული. I-II ნაწილი. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი;
- **შარაშენიძე ნ., გაბუნია კ.,** საიმედო, თბილისი: საიმედო, 2006 წ;
- **შარაშენიძე ნ. და სხვ.,** თავთავი. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2005 წ;
- **პოსტერი ქართული ენის შესასწავლი** (15 პლაკატი), თბილისი: საიმედო, 2011წ;
- **კვაჭანტირაძე თ.,** ქართული ენა. DVD დისკების პაკეტი. 2012 წ;
- **ხუციშვილი ვ.,** „საკომუნიკაციო ქართული“, საგამოცდო-განმავითარებელი ტესტები ეთნიკური უმცირესობებისთვის ქართულ ენაში-თბილისი, 2012 წ;
- ვიდეოფილმებზე აგებული დამატებითი სასწავლო მასალები ქართული ენის შემსწავლელთათვის. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2013წ.

3.9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) სტუდენტების სწავლებისათვის

საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება -საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

მოდულის განმახორციელებელი პერსონალი (იხ. დანართი 2)